1973/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 3 (386)

1973 წლის მარტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 3 (386) მარტი 1973 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

14. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტნის“ გაუქმების შესახებ.

15. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ბ. ზ. ბარსუკოვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

16. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ე. ბუხრაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ.

17. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ი. ხუციშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

18. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. დ. თავამაიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

19. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

20. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისათვის 43[1] მუხლის დამატების შესახებ.

21. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებისათვის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების ფუნქციების დაკისრების შესახებ.

23. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენების ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.

24. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ.

განკოფილება მეორე

25. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

26. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

27. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ა. ბურდულის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

28. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინორეჟისორ ს. ბ. დოლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

29. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. ნანეიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

30. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ვ. სიხარულიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

31. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. ტიურინის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

32. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ გ. დ. გულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

33. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ნ. ღოღობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

34. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

35. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. მ. გაბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

36. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მ. კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

37. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ არნო ონელის (ა. კ. ბურდილაძის) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

38. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ა. ქვლივიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

39. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ლ. ქურციკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

40. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. თ. ჩაკვეტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

41. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. კ. აპრილიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

42. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. ს. მატოიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

43. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ტ. სანიკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

44. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ო. სევასტოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

45. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. ჯაშიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საინფორმაციო ცნობა
ცვლილებები ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

14 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვხილბოსტანის" გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტი „საქკონსერვხილბოსტანი".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 6 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

15 ამხ. ბ. ზ. ბარსუკოვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. ბორის ზაქარიას ძე **ბარსუკოვი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 9 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

16 **ამხ. შ. ე. ბუხრაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსად დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. შოთა ეფრემის ძე **ბუხრაშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს უფროსად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 9 მარტი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

17 **ამხ. ბ. ი. ხუციშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. გიორგი იოსების ძე **ხუციშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 21 მარტი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

18 **ამხ. ბ. დ. თავამაიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. **გიორგი** დავითის ძე **თავამაიშვილი** საქართველოს სსრ მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობისა
თა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 21 მარტი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

19 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს ოთარ ევტიხის ძე **ჩერქეზია** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარედ, ამასთან ამ მოვალეობისაგან გათავისუფლდეს ვიქტორია მოსეს ასული **სირაძე.**

დამტკიცდეს ფილიპე მელიქსედეკის ძე **მახარაძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე, — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის წევრად, ამასთან ამ მოვალეობისაგან გათავისუფლდეს გიორგი ვასილის ძე **სიხარულიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 28 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

20 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისათვის 43[1] მუხლის დამატების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს 43[1] მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 43[1]. დამცველის მოწვევა, დანიშვნა და შეცვლა

ბრალდებული, მისი კანონიერი წარმომადგენელი, აგრეთვე სხვა პირები — ბრალდებულის დავალებით ან მისი თანხმობით, დამცველს მოიწვევენ ამ კოდექსის 43-ე მუხლში ჩამოთვლილ პირთაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრალდებულის თხოვნით დამცველის მონაწილეობას უზრუნველყოფს გამომძიებელი და სასამართლო.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულის მიერ არჩეული დამცველის მონაწილეობა დიდი ხნით შეუძლებელია, გამომძიებელს და სასამართლოს შეუძლიათ წინადადება მისცენ ბრალდებულს მოიწვიოს სხვა დამცველი ან ბრალდებულს დაუნიშნონ დამცველი ადვოკატთა კოლეგიის მეშვეობით".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 28 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

21 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის მე-4 ნაწილში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„სარჩელი ალიმენტის გადახდევინების და მამობის დადგენის შესახებ მოსარჩელემ შეიძლება წარადგინოს აგრეთვე თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 28 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

22 ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებისათვის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების ფუნქციების დაკისრების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულების მე-18 მუხლის შესაბამისად შექმნილ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიებს დაეკისროთ აგრეთვე ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების ფუნქციები და ამასთან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირებით ეწოდოთ მათ „ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შეიმუშაოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარმოუდგინოს ლოთობის, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის დებულების პროექტი.

3. ამ ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით სათანადო ცვლილება იქნეს შეტანილი „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულებაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 28 მარტი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

23 „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენების ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის პროკურორის ამხ. ა. ტაკიძის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ი. რთველიაშვილის მოხსენებები და პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების მიერ წარმოდგენილი მასალები „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენების ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ადგილობრივმა საბჭოებმა, კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სხვა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ამ ბრძანებულების განხორციელებისათვის.

1971-1972 წლებში რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მანქანა-ტრაქტორთა პარკის მოვლა-პატრონობის პირობების გასაუმჯობესებლად მოეწყო 246 ახალი სამანქანო ეზო, აშენდა 137 ფარდული. ამჟამად სოფლად 565 სარემონტო სახელოსნო, 138 ტექნიკური მომსახურების სტაციონარული პუნქტი და 540 მოძრავი აგრეგატია. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში კვალიფიკაცია აიმაღლა 2070 ტრაქტორისტმა და მემანქანემ. მნიშვნელოვნად შემცირდა საგზაო შემთხვევებისა და მათ შედეგად დაშავებულ პირთა რიცხვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ერთად რესპუბლიკის რიგ რაიონში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურ-
ნეო ტექნიკის გამოყენებისა და მოვლის დადგენილი წესების სერიოზულ და-
ღვევებს.

ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როდესაც ძვირადღირებული ტექნიკა წლე-
ბის განმავლობაში სავსებით გამოუყენებელია და ფუჭდება. მაგალითად, წულუ-
კიძის რაიონის სოფელ ნახახულევის კოლმეურნეობაში 1965 წელს 13 ათას მა-
ნეთად შეძენილი ორი იმპორტული საწველი აგრეგატი და მაცივარ-კომპრესორი
დღემდე გამოუყენებელია. ანალოგიური მდგომარეობაა აგრეთვე ადიგენის რაი-
ონის სოფელ უდეს, ბორჯომის რაიონის სოფელ ყვიბისის კოლმეურნეობებსა და
ბაკურიანის მეცხოველეობის მეურნეობაში. ლანჩხუთის რაიონის სატყეო მეურ-
ნეობაში დღიდან მიღებისა გამოუყენებელია 26.348 მანეთად ღირებული ვიწრო-
ლიანდაგის თბომავალი.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მწყობრიდან ნაადრევ გამოსვლას ხელს
უწყობს ტექნიკის შესანახი ფარდულების, მოედნებისა და სამანქანო ეზოების
უკმარისობა, მანქანა-იარაღების ღია წესით შენახვის სახელმწიფო სტანდარტე-
ბის მოთხოვნათა უგულებელყოფა. მაგალითად, „საქსოფლტექნიკის“ სისტემის
63 მექანიზებულ რაზმში მოწყობილია მხოლოდ 28 ფარდული და 9 ღია მოედანი
მყარი საფარით.

ცუდად ინახავენ ტექნიკას ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ახალქალაქის,
დმანისის, ცაგერის, წალკის, ჩოხატაურის, ლაგოდეხის და რიგი სხვა რაიონის
კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენების ეფექტურობას მნი-
შვნელოვნად ამცირებს მათი შეკეთების დაბალი ხარისხი და ვადების გაჭიანუ-
რება („საქსოფლტექნიკის“ აბაშის, გეგეჭკორის, ზუგდიდის, წულუკიძის, გურ-
ჯაანის, ყვარლის, გარდაბნის, თერჯოლის, ქარელის და სხვა განყოფილებები).

რესპუბლიკის „საქსოფლტექნიკის“ ზოგიერთი რაიონული განყოფილების
სახელოსნო სუსტად არის აღჭურვილი ტექნიკური მოწყობილობით და ჯეროვ-
ნად არ მარაგდება სათადარიგო ნაწილებით; მიმდინარე შეკეთება და ტექნიკური
მომსახურება წარმოებს ღია ცის ქვეშ, რაც უარყოფითად მოქმედებს ამ სამუ-
შაოთა ხარისხზე და ამძიმებს მექანიზატორთა შრომის პირობებს.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების გამოყენებისა და შენახვის საქმე-
ში არსებული ნაკლოვანებები აიხსნება აგრეთვე მექანიზატორთა კადრების სიმ-
ცირით. ამასთან არ ხორციელდება ყველა საჭირო ღონისძიება ტრაქტორისტ-მე-
მანქანეთა და მძღოლთა შორის დისციპლინის განსამტკიცებლად, ტრაქტორებისა
და მექანიზმების არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტებისა და საგზაო
შემთხვევების აღსაკვეთად. მიუხედავად იმისა, რომ საგზაო შემთხვევები საგრძ-
ნობლად შემცირდა, ჯერ კიდევ დიდია მათი რიცხვი — 1972 წელს აღირიცხა 116
ასეთი შემთხვევა, რომელთა შედეგად გარდაიცვალა 48 და დაშავდა 146 კაცი.

რიგ სასოფლო-სამეურნეო საწარმოში უხეშად ირღვევა მანქანა-იარაღების
ჩამოწერის წესები. მაგალითად, აბაშის რაიონის ნორიოს კოლმეურნეობაში გან-
კომპლექტდა 4 ტრაქტორი, რომელთაგან ორი — როგორც ჯართი, ჩამოწერის
გარეშე ჩაბარდა სათანადო ბაზას, ლანჩხუთის რაიონის ორაგვის კოლმეურნეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში ჩამოწერეს დტ-75 მარკის ტრაქტორი, რომელიც მხოლოდ 2 წელი ექსპლოატაციაში და შესრულებული ჰქონდა 1670 ჰექტარი მოცულობის სამუშაო. ანალოგიური დარღვევებია ადიგენის, ლენტეხის, წალკის, თერჯოლის, წულუკიძის, ხობის, ცხაკაიასა და რიგ სხვა რაიონში.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და „საქსოფლტექნიკის" რაიონულ განყოფილებებში კვლავ ადგილი აქვს არასწორ პრაქტიკას, როდესაც ტექნიკის ჩამოწერისას გამოსაყენებლად არ ტოვებენ ვარგის მარაგ ნაწილებს.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის საქმეში არსებული ნაკლოვანებები მნიშვნელოვანწილად იმის შედეგია, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, „სახსოფლტექზედამხედველობის" ადგილობრივი ინსპექციები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ უზრუნველყოფენ სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელებას მანქანა-ტრაქტორების პარკის ტექნიკური მდგომარეობისადმი, მექანიზმებისა და იარაღების ექსპლუატაციის, შენახვისა და ჩამოწერის წესების დაცვისადმი. „სახსოფლტექზედამხედველობის" რაიონული ინსპექციების მუშაკები სათანადო მომთხოვნელობას არ იჩენენ სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა ხელმძღვანელი მუშაკებისადმი, იშვიათად სარგებლობენ უფლებით დაადონ მათ ფულადი დანარიცხები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენების, მოვლისა და შენახვის წესების დარღვევისათვის.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და საბჭოების სათანადო მუდმივი კომისიები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების შესასრულებლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 27 ნოემბრის დადგენილებით დასახულ ღონისძიებათა განხორციელებას, ამ საქმეში ფართოდ არ აბამენ დეპუტატებსა და აქტივს.

რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენების ან მოვლა-პატრონობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესრულების სათანადო ზედამხედველობას, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებას და ჯეროვან პასუხს არ აგებინებენ დამნაშავე პირთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროებს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას" დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი მათდამი დაქვემდებარებულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მექანიზმებისა და იარაღების ექსპლუატაციის, შენახვისა და ჩამოწერის წესების ზუსტი შესრულებისათვის. უზრუნველყონ „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენების ან შენახვისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ" სსრ კავში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებისა შესრულების მიმდინარეობის თაობაზე რესპუბლიკაში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 27 ნოემბრის დადგენილების შესრულება.

2. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აამაღლოს „სახსოფლტექზედამხედველობის“ ინსპექციების მომთხოვნელობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა ხელმძღვანელებისადმი მანქანა-ტრაქტორთა პარკისა და იარაღების გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის წესების შესრულების საქმეში; ინსპექციებმა რეაგირების გარეშე არ დატოვონ გამოვლენილი ნაკლოვანებები და უფრო ფართოდ გამოიყენონ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებები, ხოლო საჭირო შემთხვევაში მასალები გადასცენ პროკურატურის ორგანოებს.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს პერიოდულად შეისწავლონ და განიხილონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის მდგომარეობის საკითხები, ყოველწლიურად მოაწყონ სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ტექნიკური დათვალიერება და შედეგები მოისმინონ აღმასკომის სხდომებზე; მეტი კონტროლი და დახმარება გაუწიონ სოფლის მეურნეობის სამმართველოებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებისა და მოვლა-პატრონობის წესების შესრულებაში, ამ საქმეში ფართოდ ჩააბან საბჭოების დეპუტატები, შესაბამისი მუდმივი კომისიები და აქტივი.

4. საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დანაშაულებრივ-დაუდევარი გამოყენების ან მოვლა-პატრონობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის შესრულების ზედამხედველობა, საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან ერთად შეისწავლოს და განაზოგადოს ასეთი კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პრაქტიკა.

5. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ განიხილოს რაიაღმასკომების სოფლის მეურნეობის სამმართველოების ინჟინერ-მექანიზატორებისა და „სახსოფლტექზედამხედველობის“ ინსპექტორების შესანახი ხარჯების საკითხი.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პოლიგრაფიის, გამომცემლობათა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროების და რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ შეკვეთით გამოსცეს მანქანა-ტრაქტორთა პარკის მოვლა-პატრონობის, ტექნიკური ექსპლუატაციის წესების, სამანქანო ეზოების მოწყობის, ტექნიკური მოვლის ინსტრუქციები, პლაკატები და სხვა თვალსაჩინო საშუალებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 28 მარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

24 მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მიერ მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სკკპ XXIV ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემდგომ დადგენილებათა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონების საფუძველზე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საქმიანობაში ფართოდ დამკვიდრდა მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარების პრაქტიკა, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა კავშირი ამომრჩევლებთან და ხელი შეუწყო ადგილობრივი საბჭოების როლის შემდგომ ამაღლებას სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში.

გასულ წელს 1.102 ადგილობრივი საბჭოს აღმასკომიდან მოსახლეობას ანგარიში ჩააბარა 974 აღმასკომმა ანუ 88,4 პროცენტმა. ჩატარდა 3.100 კრება, რომელსაც 651.289 მოქალაქე დაესწრო.

ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ანგარიში ჩააბარა საავტომობილო, ლითოფონის, აბრეშუმის ქარხნების საწარმოო გაერთიანებას, ავეჯის ფაბრიკას, № 2, 10 და № 12 მიკრორაიონების მუშა-მოსამსახურეებსა და მცხოვრებლებს. ანგარიშების ჩაბარების დროს მოსახლეობამ მნიშვნელოვანი წინადადებები წამოაყენა ქუჩების, მოედნების, სკვერების კეთილმოწყობის, მოსახლეობის კომუნალური, საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სამედიცინო მომსახურების და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების შესახებ. აღმასკომმა მიმდინარე წლის 10 იანვარს განიხილა ანგარიშის ჩაბარების დროს მოსახლეობის მიერ წამოყენებულ წინადადებათა განხორციელების საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მათ შესასრულებლად.

კასპის რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომების ანგარიშების ჩაბარების დროს მოსახლეობის მიერ წამოყენებული იქნა 98 წინადადება. ამ წინადადებების უმრავლესობა რაიონული საბჭოს აღმასკომმა გაითვალისწინა მიმდინარე წლის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შედგენის დროს. მოსახლეობის მიერ დაყენებული საკითხების შესაბამისად მიმდინარე წელს დაგეგმილია ქ. კასპში ქუჩების რეკონსტრუქცია, საავადმყოფოს კაპიტალური რემონტი, საშუალო სკოლისათვის საკლასო ოთახების მიშენება, ზემო ხანდაკი-ხოვლეს, ქვემო ჭალა სამთავისის, იგოეთ-ლამისყანის გზების კაპიტალური შეკეთება, საფერშლო პუნქტების გახსნა სოფლებში ცხავერში, გრაკალსა და იგოეთში, ბიბლიოთეკისა — სოფელ დოესში და სხვ.

რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ანგარიში ჩააბარა ქიმიური კომბინატის, მეტალურგიული ქარხნის, ქიმიური ბოჭკოს ქარხნის, ცემენტის ქარხნის, ამიერკავკასიის მეტალურგმშენის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებს და სხვ. სადაც მშრომელების მიერ მნიშვნელოვანი წინადადებები იქნა წამოყენებული საბჭოს მუშაობისა და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიაკოვსკის რაიონის ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ანგარიშების ჩაბარების დროს მოსახლეობის მიერ წამოყენებულ იქნა 128 წინადადება, რომელთაგან 86 შესრულებულია, ხოლო 42 განხორციელების პროცესშია. მშრომელთა მიერ წამოყენებული წინადადებების აღრიცხვის, რეგირებისა და შესრულების საქმე კარგად არის დაყენებული მაიაკოვსკის სადაბო, ნერგიეთის, საკრაულის, ფერსათის, ვარციხის და დიმის სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში.

სიღნაღის რაიონული საბჭოს აღმასკომმა საერთო კრებებზე მოსახლეობას ანგარიში ჩააბარა 11-ჯერ, მცხეთის რაიონული საბჭოს აღმასკომმა 8-ჯერ.

გურჯაანის რაიონული, საქალაქო და სასოფლო საბჭოების აღმასკომები მოსახლეობის წინაშე გამოვიდნენ 181-ჯერ. მოსახლეობის მიერ დაყენებული საკითხების განხორციელების შედეგად მოიხრეშა გზები სოფლებში — შრომაში, ვაზისუბანში, ახაშენში, მელაანში, შეკეთდა აბანოები — ჯიმითში, შრომაში და ვაზისუბანში, მოწესრიგდა ქ. გურჯაანის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგება, წესრიგში იქნა მოყვანილი ქუჩები და სხვ.

მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარებისა და მშრომელთა წინადადებების შესრულებისადმი კონტროლი კარგად არის დაყენებული ცხაკაიას, მცხეთის, ყვარლის, ახალციხის, ჭიათურის, ზესტაფონის და სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

ამასთან მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი სწორად ვერ აფასებს საბჭოების მოსახლეობასთან კავშირის განმტკიცებისა და მათი საქმიანობის საჯაროობის ამ მნიშვნელოვან ფორმას და სათანადო ყურადღებას არ აქცევს მოსახლეობისათვის ანგარიშების ჩაბარების საქმეს. გასულ წელს მოსახლეობისათვის ანგარიში არ ჩაუბარებია ახმეტის, თელავის, მარნეულის, საგარეჯოს და ცაგერის რაიონული საბჭოების აღმასკომებს. ბოგდანოვკის რაიონში 6 სასოფლო საბჭოს აღმასკომიდან მოსახლეობას ანგარიში ჩააბარა 3 აღმასკომმა, თელავის რაიონში 16-დან 10, ლაგოდეხის რაიონში — 14-დან 11, მახარაძის რაიონში — 24-დან 11, ხაშურის რაიონში — 11-დან 8, ხობის რაიონში — 18-დან 13 და სხვ.

მოსახლეობის მიერ წამოყენებული წინადადებები დღემდე არ განუხილავთ ასპინძის, დუშეთის, მესტიის, ვანის, საჩხერისა და ყაზბეგის რაიონული საბჭოების აღმასკომებს და გარდაბნის რაიონის აღთაღლის, ქესალოსა და კალინინის სასოფლო საბჭოებს.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ანგარიშებში ზოგჯერ საკმარისად არ არის ასახული აღმასკომისა და საბჭოს საქმიანობა, ნაკლებად შუქდება მუდმივი კომისიების, დეპუტატებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა, ცალკეული საწარმოს ან რომელიმე დარგის ჩამორჩენის მიზეზები და სხვ., ყოველთვის არ წარმოებს მოსახლეობის მიერ საანგარიშო კრებებზე წამოყენებული კრიტიკული შენიშვნების აღრიცხვა და არ ისახება კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად (ბოლნისის, რაიონის, ბოლნისის საქალაქო, კაზრეთის სადაბო, აკაურთის და ქვეშის სასოფლო საბჭოები).

ზოგ რაიონში ნაკლები ყურადღება ექცევა კრებების წინასწარ მომზადებასა და ჩატარებას, რის გამოც მათ არ ესწრება მშრომელთა დიდი ნაწილი, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

